N 04/340
19.06.2023

ბრძანება

340-01-4-202306191702

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 20 სექტემბრის N04/193 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვევის ნაწილობრივ აღმოუფხვრელობის გამო შპს ,,ბი ეს თისთვის“ (ს/ნ 400191396) ჯარიმის დაკისრების შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. 2022 წლის 20 სექტემბერს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის N04/193 ბრძანებით დამტკიცდა გადაწყვეტილება „შპს ,,ეს.ი.ეი-ს“ (ს/ნ: 401987597) საჩივრის დასაშვებად ცნობის, საქმის მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 11 აპრილის №04/40 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის მიხედვით, დადასტურდა შპს ,,ბი ეს თის“ (ს/ნ: 400191396) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, შპს ,,ბი ეს თის“ დაევალა მის მიერ განხორციელებული ქმედებების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და ავტობუსის იერსახის იმგვარი ცვლილება, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს მომხმარებლის მხრიდან ეკონომიკური აგენტების აღრევის რისკი. ასევე, შპს ,,ბი ეს თის“ აეკრძალა მომჩივანის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ,,WST“ (N97758/3) მიმსგავსებული გრაფიკული სიმბოლოს გამოყენება. გარდა ამისა, სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით შპს ,,ბი ეს თის“ დაევალა სააგენტოსთვის ეცნობებინა მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ N04/193 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

1.2. ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება 2022 წლის 21 სექტემბერს გაეგზავნა მომჩივან და მოპასუხე მხარეებს, როგორც ელ-ფოსტაზე, ასევე, ფოსტის საშუალებით. მომჩივანმა ელ-ფოსტის მეშვეობით დაადასტურა გადაწყვეტილების ჩაბარების ფაქტი. მოპასუხეს არ დაუდასტურებია ელ-ფოსტაზე მიღებული შეტყობინება, ასევე, ვერ მოხერხდა მისთვის საფოსტო გზავნილის ჩაბარება. ამდენად, მხარისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების უზრუნველსაყოფად სააგენტომ განახორციელა კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები. კერძოდ, „საქმის მოკვლევის წესის და

პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - „წესი“) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ სააგენტო დადგენილი წესით ვერ ახერხებს წერილობითი კორესპონდენციის ადრესატისთვის ჩაბარებას ან პირი უარს აცხადებს დოკუმენტაციის ჩაბარებაზე, სააგენტო უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურს გაუგზავნოს შესაბამისი თხოვნა, რის შემდეგაც შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით ადრესატისათვის დოკუმენტაციის გაგზავნას. შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად, ადრესატი მხარის მიერ დოკუმენტის გახსნის შემთხვევაში. ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება, შპს „ბი ეს თისთვის“ ჩაბარების მიზნით, გაეგზავნა სსიპ შემოსავლების სამსახურს და იმავე დღეს განხორციელდა გადაწყვეტილების გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ატვირთვა, სადაც მოპასუხეს შეეძლო გაცნობოდა გადაწყვეტილებას, თუმცა აღნიშნულ გვერდზეც არ მომხდარა მოპასუხის მიერ გადაწყვეტილების გაცნობა. 2022 წლის 11 ნოემბერს წესში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც თუ მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ განხორციელდა ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი ფორმით, გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს. ამ დანაწესის ძალაში შესვლის მომენტში ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპასუხისთვის ჩაბარებული არ ყოფილა, თუმცა, გადაწყვეტილება სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ცვლილების ამოქმედებამდე - 2022 წლის 26 სექტემბერს. ამდენად, მხარის უფლებების დაცვის მიზნით, გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებულად ჩათვლის მიზნებისათვის, გადაწყვეტილების გამოქვეყნების თარიღად ჩაითვალა შესაბამისი ცვლილების მიღების დღე და 60 დღიანი ვადის ათვლა მოხდა ამ თარიღიდან. თავის მხრივ, 60 დღიანი ვადა გავიდა 2023 წლის 10 იანვარს.

1.3. 2023 წლის 19 მაისს სააგენტოს მიერ შპს ,,ეს.ი.ეის“ (ს/ნ: 401987597) და შპს ,,ბი ეს თის“ (ს/ნ: 400191396) გაეგზავნა წერილობითი კორესპონდენცია (N02/1326; N02/1327) სააგენტოს თავმჯდომარის N04/193 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით. კერძოდ, მხარეებს დაევალათ სააგენტოსთვის ეცნობებინათ, შესრულდა თუ არა სააგენტოს მიერ შპს ,,ბი ეს თისთვის“ დაკისრებული ვალდებულებები და მოპასუხეს დამატებით დაევალა აღნიშნული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.

1.4. ზემოთ აღნიშნული წერილები (N02/1326; N02/1327; თარიღი: 19.05.2023) მხარეებს გაეგზავნა როგორც ელფოსტის მეშვეობით, ასევე, მათი გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (rs.ge) ატვირთვით. მომჩივანმა შპს ,,ეს.ი.ეი-ს“ (ს/ნ: 401987597) rs.ge-ზე ატვირთული წერილი გახსნა 2023 წლის 23 მაისს, 12:44 საათზე, რის საპასუხოდაც სააგენტოს 2023 წლის 24 მაისს წარმოუდგინა პასუხი (სააგენტოში რეგ. N01/1738), რომლის მიხედვითაც მოპასუხე შპს „ბი ეს თიმ“ ნაწილობრივ შეასრულა სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებები, კერძოდ შეწყვიტა სასაქონლო ნიშნის ,,WST“ (N97758/3) მიმსგავსებული გრაფიკული სიმბოლოს გამოყენება, თუმცა ისევ აგრძელებს მომჩივანის საკუთრებაში არსებული წითელი ავტობუსის დიზაინის მიმსგავსებას, რაც

ტურისტებში მაინც იწვევს დაბნეულობას. გარდა ამისა, იგი იყენებს მომჩივანი მხარის საკონტაქტო და სოციალური მედიის რესურსებს.

რაც შეეხება მოპასუხის მიმართ სააგენტოს 2023 წლის 19 მაისის N02/1327 წერილს, შპს „ბი ეს თი“ წერილს გაეცნო გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (rs.ge) 2023 წლის 25 მაისს 19:29 საათზე. მოპასუხეს წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოსადგენად სააგენტოს მიერ განსაზღვრული ჰქონდა შვიდი სამუშაო დღე. წერილის გაცნობის შემდეგ ინფორმაციის წარმოდგენის ბოლო ვადას წარმოადგენდა 2023 წლის 6 ივნისი, თუმცა არც აღნიშნულ ვადაში და არც შემდგომ, დღემდე შპს „ბი ეს თის“ არ წარმოუდგენია რაიმე სახის ინფორმაცია სააგენტოსთვის.

II. ნორმატიული რეგულირება

2.1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-18 მულის 1-ელი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

2.2. კანონის მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა ამ კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად.

2.3. კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილებების, ინსტრუქციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის, სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტებისთვის.

2.4. კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე” სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - „წესი“) 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამ კანონის 11^3 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის დადასტურების შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 1%-ს, ხოლო აღნიშნული დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში – 3%-ს.

2.5. ხსენებული წესის 30-ე მუხლის მე-4 მუხლის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, წინა ფინანსურ წლად ითვლება სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წელი. ხოლო, თუ ეკონომიკური აგენტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ითვლება გადაწყვეტილების მიღების წელი.

2.6. კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე.

2.7. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა.

III. სამოტივაციო ნაწილი

3.1. სააგენტოს 2022 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა შპს ,,ბი ეს თის“ (ს/ნ: 400191396) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი. ეკონომიკურ აგენტს დაეკისრა ჯარიმა და დაევალა მის მიერ განხორციელებული ქმედებების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, ავტობუსის იერსახის იმგვარი ცვლილება, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს მომხმარებლის მხრიდან ეკონომიკური აგენტების აღრევის რისკი. ამდენად, შპს ,,ბი ეს თი“ (ს/ნ: 400191396) ვალდებული იყო შეესრულებინა სააგენტოს თავმჯდომარის N04/193 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება და ერთი თვის ვადაში ეცნობებინა სააგენტოსთვის აღნიშნულის თაობაზე.

3.2.ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს ადრესატის მიერ მისი კანონით დადგენილი წესით გაცნობის მომენტიდან. შპს „ბი ეს თის“ მიერ აქტის (თავმჯდომარის N04/193 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება) გაცნობა მოხდა 2023 წლის 10 იანვარს, თუმცა ამ დრომდე მის მიერ არ მომხდარა გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულება. ამასთან, სააგენტოს ინფორმაციით, მხარის მიერ არ არის გასაჩივრებული სააგენტოს გადაწყვეტილება, გასულია მისი გასაჩივრების 1 თვიანი ვადა (რომელიც აითვალა 2023 წლის იანვრიდან) და სააგენტოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

3.3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და წესის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტს დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს ჯარიმა გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის ბრუნვის არაუმეტეს 3%-ის ოდენობით.

ჯარიმის განსაზღვრის ზოგადი კრიტერიუმების გათვალისწინებით, შპს ,,ბი ეს თისთვის" დასაკისრებელი ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა, ანუ სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა წლის - 2022 წლის ბრუნვის[1] [redacted] შეადგენს [redacted] ლარს. რაც შეეხება დასაკისრებელი ჯარიმის ინდივიდუალურ ოდენობას, მისი განსაზღვრისთვის სააგენტო ერთობლიობაში აფასებს კანონდარღვევის სიმძიმეს, ხანგრძლივობას და დარღვევით გამოწვეულ ზიანს, ქმედების დამამძიმებელ ან/და შემამსუბუქებელ გარემოებებს. მოცემულ შემთხვევაში, სააგენტოს შეფასებით, სახეზეა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, შპს „ბი ეს თი" განზრახ აგრძელებს კანონდარღვევის ჩადენას, კონკრეტულად კი მომჩივანის საკუთრებაში არსებული წითელი ავტობუსის დიზაინის მიმსგავსებას მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებით მას დაევალა ხსენებული ქმედების შეწყვეტა. გარდა ამისა, შპს „ბი ეს თიმ" ნაწილობრივ შეასრულა სააგენტოს N04/193 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, შესაბამისად, დასაკისრებელი ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობა უნდა იყოს ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობაზე ნაკლები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბი ეს თის" მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების (გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვევის ნაწილობრივ აღმოუფხვრელობა) პროპორციულ ჯარიმის ოდენობად სააგენტო განსაზღვრავს შპს ,,ბი ეს თის" 2022 წლის ბრუნვის [redacted] - 5 221.8 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე" სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. დადასტურდეს შპს ,,ბი ეს თის" (ს/ნ: 400191396) მხრიდან სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 20 სექტემბრის N04/193 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვევის ნაწილობრივ აღმოუფხვრელობის ფაქტი.

2. შპს ,,ბი ეს თის" (ს/ნ: 400191396) დაეკისროს ჯარიმა ეკონომიკური აგენტის 2022 წლის წლიური ბრუნვის [redacted]ის - 5 221,8 (ხუთი ათას ორას ოცდაერთი ლარი და ოთხმოცი) ლარის ოდენობით;

---

[1] სააგენტოს ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 19 ივნისის N03/413 მოხსენებითი ბარათი

3. შპს ,,ბი ეს თის“ (ს/ნ: 400191396) დაევალოს სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 20 სექტემბრის N04/193 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად (შეუსრულებელი ნაწილის) შესრულება ერთი თვის ვადაში და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64);

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე